ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №54

(კონსოლიდირებული ტენდერი CON190000129)

ქ. თბილისი **21 მაისი 2019 წ.**

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპარატი (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მაია ხაჯიშვილის სახით და მეორე მხრივ, ,,შპს „თეგეტა მოტორსი“(შემდგომში - „მიმწოდებელი) წარმოდგენილი გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის თეიმურაზ დარისპანაშვილის (ბრძანება №190, გაცემული 2018 წლის 16 ნოემბერს, შპს „თეგეტა მოტორსის“ გენერალური დირექტორის ავთანდილ წერეთლის მიერ) სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლის, მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანების 2019 წლის საბურავების კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრი N14 ბრძანებით დამტკიცებული „კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ წესის შესაბამისად, აგრეთვე „2018-2019 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11ივლისის №1411 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2„ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის.

1.3„დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4„შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5„მიმწოდებელი“ - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში

1.6„საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7„სატენდერო კომისია“ - „2018-2019 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11ივლისის №1411 განკარგულების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისია.

1.8„ფორსმაჟორი“ - მხარეებისათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ,,შემსყიდველისა“ და/ან ,,მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა ისეთი მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2.ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბალანსზე რიცხული ,,ტოიოტა ლენდკრუიზერი''-ს (სახ. ნომერი: SC-041-OA) მარკის ავტომანქანისათვის მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავები, რომლებიც აკმაყოფილებს კონსოლიდირებული ტენდერის (**CON190000129)** სატენდერო დოკუმენტაციითა და მისი დანართით განსაზღვრულ ტექნიკურ მაჩვენებლებს.

2.2. შესასყიდი საქონლის რაოდენობა არის **4 (ოთხი)** ცალი საბურავი, დანართი №1-ის შესაბამისად.

2.3 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: **CPV-34300000**, ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის.

3.ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: **1600 (ერთი ათას ექვსასი)** ლარი, დანართი №1-ის შესაბამისად.
3.2 საბურავების ფასი მოიცავს მათი მონტაჟის და ბალანსირების ღირებულებას.

4. საქონლის მიღება - ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

4.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებით ნაკისრ მომსახურების პუნქტებზე შესაბამისი მომსახურების გაწევა.
4.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება- ჩაბარების აქტი.
4.3 საქონელი ჩიათვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.
4.4 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავების მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში, **დანართი №2-ით** განსაზღვრული პერიოდის (კვარტალი) მიხედვით, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ- ფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება ხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5.მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა
ბ) საქონლის მიწოდება განახორციელოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
გ) პასუხი აგოს საბურავების ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და დანართით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებზე.
5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება
5.3შემსყიდველი ვალდებულია:
ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.
ბ) მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.
გ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში.
5.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს საქონლის მიწოდება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
ბ) განახორციელოს საბურავის ინსპექტირება, რაც შეიძლება გულისხმობდეს საბურავის ვიზუალურ შემოწმებას ან შესაბამის ექსპერტიზას.
გ) სატენდერო კომისიას მიმართოს შესაბამისი დასაბუთებით საბურავების ხარისხის გაუარესების თაობაზე. კომისიას უფლება აქვს, მიმწოდებელს მოსთხოვოს ექსპერტიზის ჩატარება მის მიერ მითითებულ საექსპერტო დაწესებულებაში და შედეგების სატენდერო კომისიისათვის წარდგენა. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი ორგანიზაცია.
დ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

ე) საქონლის მიწოდების ვადის 10-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს: აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს აპარატის ლოჯისტიკისა და საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის სატრანსპორტო საშუალებათა მართვისა და ექსპლუატაციის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **ზვიად ფარტენაძე.**

6.2. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მოწოდებისას, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხი.

7. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის

7.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

7.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირსაგამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.5%.საქონლისმიწოდებისვადის 10-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

7.3 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ გადაიხადოს საჯარიმო თანხა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საბურავების ღირებულების 20%- ის ოდენობით.

7.4 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინაადმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

9.3 მხარეთა შორის დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.სხვა პირობები

10.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

10.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.

10.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

11.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2019 წლის 30 ნოემბრის** ჩათვლით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი, მისამართი: დაბა ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25, საიდენტიფიკაციო კოდი - 245425749, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახელმწიფო ხაზინის ბანკის კოდი: TRESGE22	შპს „თეგეტა მოტორსი“ ს/კ: 202177205 მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N5 ტელ: 224 44 44; 591408550; 591408552. ბანკი: სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE80TB 0600 0000 2446 7853
უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი: **მაია ხაჯიშვილი**	**გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი** **თეიმურაზ დარისპანაშვილი**

Tegeta Motors LLC

Digitally signed by Tegeta Motors LLC

დანართი №1

წინამდებარე დანართი გამოიყენება მხოლოდ ჩვენს მიერ 2019 წლის 21 მაისს დადებულ ხელშეკრულებასთან (სარეგისტრაციო №54)ერთად.

ზომა	რაოდენობა	ბრენდი	მოდელი	ბრენდის ქვეყანა	ერთეულის ფასი	ჯამური ფასი	მიწოდების თარიღი
285/65 R17	4	Bridgestone	D683	იაპონია	400	1600	21.05.19-დან 05.06.19-მდე

„შემსყიდველი“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი

ს/კ: 245425749

უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი:

მაია ხაჯიშვილი

„მიმწოდებელი“

შპს თეგეტა მოტორსი

ს/კ: 202177205

გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი

თეიმურაზ დარისპანაშვილი

2019 წლის 21 მაისის №54 ხელშეკრულების

დანართი №2

(ლარი)

გადახდის პერიოდი	გადასახდელი თანხის ოდენობა
II კვარტალი	1600
სულ ჯამი:	**1600**

„შემსყიდველი“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი

ს/კ: 245425749

უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი:

მაია ხაჯიშვილი

„მიმწოდებელი“

შპს თეგეტა მოტორსი

ს/კ: 202177205

გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი

თეიმურაზ დარისპანაშვილი